განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

მენეჯმენტი (ხელოვნების)

სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი 24-25 სექტემბერი

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი
2018

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	203851028
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მენეჯმენტი (ხელოვნების)
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში - 0203
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ვასილ კიკუტაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ღაღანიძე, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მერაბი ხოხობაია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით ცირამუა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

მენეჯმენტის (ხელოვნების) საბაკალავრო პროგრამის მიზანია მოამზადოს სპეციალისტები, ხელოვნების დარგში მმართველობითი პროცესის წარმართვისათვის. საბაკალავრო პროგრამის მიზანი შეესაბამება საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, რომლის ერთ-ერთი ძირითადი ვექტორია ხელოვნების ფუნდამენტური დარგების განვითარება და ამავე დარგების კვლევა. „მენეჯმენტის (ხელოვნების)“ საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმა აგებულია ECTS სისტემით. საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს სწავლების 8 სემესტრს – 240 კრედიტს, სადაც ძირითადი სპეციალობის დისციპლინები მოიცავს 137 კრედიტს, ზოგადსაუნივერსიტეტო დისციპლინები, მ.შ. ინგლისური ენა - 43 კრედიტი, ზოგადი დისციპლინების ბლოკი 30 კრედიტი და არჩევითი დისციპლინების ბლოკი - 30 კრედიტი. პროგრამა სრულდება საბაკალავრო-საკვალიფიკაციო ნაშრომით. აღნიშნული მოდულების მეშვეობით სტუდენტი იძენს თეორიულ ცოდნას და პრაქტიკულ ჩვევებს კულტურის სფეროს მენეჯმენტის სპეციფიკასთან მიმართებაში. პროგრამაზე სწვალება მიმდინარეობს უმაღლესი სასწავლებლის ყველა აკადემიური სახეობით: ლექცია, სემინარი, პრაქტიკულ-ჯგუფური და ინდივიდუალური მეცადინეობების სახით, საკურსო შრომებისა და დამამთავრებელი, საკვალიფიკაციო-საბაკალავრო ნაშრომის წარმოდგენით. მენეჯმენტის (ხელოვნების) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით შემოთავაზებული სასწავლო კურსების დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება. სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება შემდეგი მეთოდები: ლექცია, სემინარი, პრაქტიკული სწვალებები, პრაქტიკული მეცადინეობები და სიმულაციები, სამუშაო პრაქტიკა. მიღწეული სწავლის შედეგების გაზომვისას გამოიყენება, როგორც მაფორმირებელი ისე შემაჯამებელი შეფასების ფორმები. ესენია: საშინაო დავალებები, ტესტები, ზეპირი და პრაქტიკული გამოცდა, პრეზენტაცია, ქეისებისა და შესრულებული სამუშაოების გარჩევა, გამოფენა, ანგარიშები და სხვა. სტუდენტების ცოდნის შეფასებისათვის გამოიყენება როგორც ზეპირი, ასევე წერითი (ტესტი, ღია კითხვები, ესსე და ა.შ) გამოკითხვა. შეფასების კონკრეტული კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახულია კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს საშუალება ექნება იმუშაოს სხვადასხვა მიმართულებით მენეჯერის კვალიფიკაციის შესაბამისად, წინამდებარე პროგრამით მიღებული განათლება სახელოვნებო თეორიულ დარგებში, საშუალებას აძლევს მას გამოკვეთოს პროფილი სახელოვნებო დაწესებულებების სახით როგორც კერძო ისე სახელწიფო სექტორში. პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქ,ების მაჩვენებელი 49,5 %-ია. პროგრამა უზრუნველყოფილია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი მოთხოვნების მქონე ადამიანური რესურსით.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში აკრედიტაციის ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2018 წლის 24-25 სექტემბერს. ვიზიტი წარიმართა მშვიდ აკადემიურ გარემოში, შედგა შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით დაგეგმილი ყველა შეხვედრა, კერძოდ, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, პროგრამის სტუდენტებს, და პოტენციურ დამსაქმებლებს. ადგილზე მოხდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ვიზუალური დათვალიერება, გადამოწმდა ბიბლიოთეკაში პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის არსებობა, ელექტრონულ ბაზებთან ხელმისაწვდომობა და სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციის მასალები. ვიზიტის დასასრულს აკრედიტაციის ექსპერტთა

ჯგუფმა გააცნო პროგრამის შესახებ მოცემულ ეტაპზე ჩამოყალიბებული ძირითადი მოსაზრებები, რაც ადექვატურად იქნა აღქმული უნივერსიტეტის და უშუალოდ, პროგრამის ადმინისტრაციის მიერ.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

მენეჯმენტი (ხელოვნების) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითა და არსებული წესის გათვალისწინებით დადგინდა, რომ პირველი სტანდარტის 1.1 და 1.2 კომპონენტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, შესაბამისად პირველის სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. მეორე სტანდარტი ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგანაც აღნიშნული სტანდარტის 2.2 და 2.3 კომპონენტები ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, 2.1, 2.4 და 2.6 კომპონენტები შესაბამისობასია მოთხოვნებთან, ხოლო 2.5 კომპონენეტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. მე-3 და მე-4 სტანდარტები მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ვინაიდან 3.1, 4.1 და 4.2 კომპონენტები მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო 4.3 და 4.4 კომპონენეტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. მე-5 სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. პროგრამას ყავს სტუდენტები, კურსდამთავრებულები, რომლებიც დასაქმებული არიან 49,5%-ით.

- **რეკომენდაციები**

1. რეკომენდებულია პროგრამის სტრუქტურაში დაკონკრეტდეს სწავლების ბოლო სემესტრში სტუდენტები კონკრეტულად რომელ აქტივობას ასრულებენ: დამასრულებელ პროექტს, სახელმწიფო გამოცდას თუ საბაკალავრო ნაშრომს. ექსპერტთა მოსაზრებით უმჯობესია პროგრამა დასრულდეს საბაკალავრო ნაშრომის სავალდებულო შესრულებით;
2. რეკომენდებულია პროგრამის სასწავლო კურსების (მაგალითად: კულტურისა და ხელოვნების ისტორია მსოფლიო კინოს ისტორია; კულტურისა და ხელოვნების ისტორია XIX-XX საუკუნეების მსოფლიო თეატრი; კულტურისა და ხელოვნების ისტორია მსოფლიო თეატრი ანტიკურიდან განმანათლებლობის ეპოქის ჩათვლით; სამუზეუმო საქმის მენეჯმენტი; ფანდრაიზინგი და სპონსორობა, სტატისტიკის საფუძვლები და ფინანსების საფუძვლები) სილაბუსებში კურსზე დაშვების წინაპირობების განსაზღვრისას დაკონკრეტდეს წინაპირობები პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების სახელწოდებების მიხედვით;
3. რეკომენდებულია სასწავლო კურსების: პროექტების მენეჯმენტი და საშემსრულებლო ხელოვნების მენეჯმენტი წინაპირობად განისაზღროს მენეჯმენტის საფუძვლები., ხოლო კულტურის სფეროს მენეჯმენტის (პრაქტიკული კურსი) წინაპირობად განისაზღვროს - კულტურის სფეროს მენეჯმენტის (თეორიული კურსი);
4. რეკომენდებულია პროგრამის არჩევით საგნებში წარმოდგენილი სასწავლო კურსი „სატელევიზიო ხელოვნება“ პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე (პროგრამა ხელოვნების მენეჯერების აღზრდას ისახავს მიზნად) გადავიდეს პროგრამის სავალდებულო დისციპლინების ბლოკში;
5. რეკომენდებულია სასწავლო კურსებში: ღონისძიებების მენეჯმენტი, საზოგადოებასთან ურთიერთობა, ადამიანური რესურსების მენეჯმენტი სავალდებულო ლიტერატურის განახლება;
6. რეკომენდებულია მკაფიოდ უნდა ჩამოყალიბდეს სასწავლო კურსის ,,ბიზნესის საფუძვლები“ - მიზანი და დაიხვეწოს შეთავაზებული თემები საგნის სპეციფიკის გათვალიწინებით;
7. რეკომენდებულია სასწავლო კურსებში: უმაღლესი მათემატიკა I და უმაღლესი მათემატიკა II - ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს სასწავლო კურსის მიზნები, რაც ბუნებრივია საგნის ლოგიკური გართულებიდან გამომდინარე უნდა იყოს სხვადასხვა;

8. რეკომენდებულია სასწავლო კურსში ,,ეკონომიკის პრინციპები“ სავალდებულო ლიტერატურად განისაზღვროს - გრეგორი მენქიუს „ეკონომიკის პრინციპები“ რაც დამატებით ლიტერატურაშია მითითებული;
9. რეკომენდებულია სასწავლო კურსში ,,მარკეტინგის საფუძვლები“ დაიხვეწოს კურსის მიზანი, და ძირითად ლიტერატურაში მითითებულა არმსტრონგი, კოტლერის, „მარკეტინგის საფუძვლები“, 2006 წლის გამოცემა, ჩანაცვლდეს უახლესი გამოცემით;
10. რეკომენდებულია სასწავლო კურსში ,,პროექტების მენეჯმენტი“ - დაიხვეწოს სასწავლო კურსის მიზნები და სავალდებულო ლიტერატურად გამოყენებული იქნეს პროექტების მართვის უახლესი სახელმძღვანელოები;
11. რეკომენდებულია სასწავლო კურსის ,,პროექტების მართვა (პრაქტიკული კურსი)“ სახელწოდება მისი შინაარსიდან გამომდინარე ჩამოყალიბდეს, როგორც ,,პროფესიული პრაქტიკა“ და პროგრამის ძირითად ბადეში გადმოინაცვლოს მე-8 სემესტრში;
12. რეკომენდებულია სასწავლო კურსში ,,ფანდრაიზინგი და სპონსორობა“ - სავალდებულო ლიტერატურა გამრავალფეროვნებული იქნეს ქართული ან ინგლისურენოვანი შესაბამისი ლიტერატურით და სალექციო კურსებით;
13. რეკომენდებულია სასწავლო კურსის სილაბუსებში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდოლოგიური აპარატის მეტი ადაპტირება კონკრეტული დისციპლინის შინაარსთან და სპეციფიკასთან;
14. რეკომენდებულია დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამის შინაარსთან ბმაში მყოფი დარგის ექსპერტების მოწვევა საჯარო ლექციების ვორქშოპების და ტრენინგების ჩატარების მიზნით;
15. რეკომენდებულია ინტერაციონალიზაციის მიმართულებით მუშაობის გაძლიერება, პარტნიორების მოძიება, სტუდენტების და პროფესორ-მასწავლებლების ერთობლივ აქტივობებში ჩართულობის უზრუნველყოფა;
16. რეკომენდებულია დაწესებულებამ გრძელვადიან პერიოდში კიდევ უფრო გაზარდოს მენეჯმენტის მიმართულების აფილირებული პერსონალის რაოდენობა;
17. რეკომენდებულია პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის პროცესების გააქტიურება;

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - სასურველია სასწავლო კურსების (საზოგადოებასთან ურთიერთობა (PR), რეკლამა და სარეკლამო საქმის ორგანიზება, ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, კულტურის სფეროს მენეჯმენტი (თეორიული კურსი), კინო-და აუდიო ვიზუალური ხელოვნების მენეჯმენტი) წინაპირობებიდან ამოღებული იქნეს ეკონომიკის პრინციპები;
  - სასურველია, შემუშავდეს მეოცე საუკუნის ქართული ხელოვნების ისტორიის სასწავლო კურსი ან ქართული ხელოვნების ისტორიის არსებულ კურსს დაემატოს თანამედროვე ქართული ხელოვნების ნაწილი (არსებული კურსი მოიცავს მეოცე საუკუნის ქაართულ ხელოვნებას მხოლოდ 20-30-იან წლებამდე), რათა სტუდენტს უფრო ღრმა ცოდნა მისცეს თანამედროვე ქართული კულტურის შესახებ;
  - სასურველია, უფრო აქტიურად იყოს გამოყენებული დაწესებულების შიდა რესურსი და გამყარდეს ფაკულტეტებს შორის ინტეგრაცია პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების პროცესში;
  - სასურველია გადაიხედოს სტუდენტებთან კომუნიკაციის არხები, რათა უზრუნველყოფილი იქნეს შიდა ეფექტური კომუნიკაცია, მათ შორის, დაიხვეწოს დაწესებულების ვებ-გვერდის ინტერფეისი;
  - სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს სტუდენტებისა და კურსადმთავრებულების კარიერული განვითარების მხარდაჭერის მექანიზმების გააქტიურება, თუნდაც დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეულის შექმნის მეშვეობით;
  - სასურველია სტუდენტებმა თავად დაგეგმონ საკუთარი სასწავლო ცხრილი;

- სასურველია უნივერსიტეტმა სტუდენტებს შესთავაზოს სტუდენტური პროექტების/იდეების მხარდაჭერის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც მოხდება შერჩეული პროექტების დაფინანსება;
- სასურველია დაწესებულებამ შექმნას კორპორატიული ელექტრონული ფოსტის ანგარიშები. აღნიშნული გაამარტივებს ელექტრონულ კომუნიკაციას დაწესებულების შიგნით;
- სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს აკადემიური პერსონალის მეტი ჩართულობა შიდა ხარისხის დოკუმენტებისა და შეფასების მექანიზმების შემუშავებაში;
- სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს გამოკითხვის შედეგების და რეკომენდაციების პერმანენტულად გაცნობა გამოკითხვაში მონაწილე ჯგუფებისათვის, რათა შემდგომში გაიზარდოს მათი ჩართულობა ხარისხის სამსახურის მიერ დაგეგმილ შეფასების მექანიზმებში;

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

➢ დეტალურად არის გაწერილი ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო დოკუმენტები, რომელიც მთლიან ჩარჩოს/საზღვრებს აწესებს პროგრამისა და კონკრეტულად სილაბუსის დაგეგმვის პროცესში აკადემიური პერსონალისთვის (ე.გ. Manual). გარდა ამისა, მსგავსი დოკუმენტის არსებობა ხელს შეუწყობს ახალი აკადემიური პერსონალის ეფექტურ მუშაობას.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

მენეჯმენტის (ხელოვნების) საბაკალავრო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 2011 წლის 25 ნოემბერს. აკრედიტაციის პროცესის შედეგად პროგრამაში გათვალიწინებულია რიგი რეკომენდაციები, კერძოდ: ჩატარებულია შრომის ბაზრის კვლევა, გაძლიერებულია პრაქტიკის კომპონენტი, პროგრამაზე მიღების წინაპირობად გათვალისწინებულია მათემატიკა, პროგრამას აქვს ბიუჯეტი და გაძლიერებულია ინგლისურენოვანი კომპონენტების სწავლება.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო პროგრამის მიზანია ხელოვნების სფეროს მართვის დაბალი და საშუალო რგოლის მენეჯერების მომზადება, რომლებმაც უნდა შეძლონ მართველობითი საქმიანობის განხორციელება კულტურის სფეროს კერძო და საჯარო სექტორის დაწესებულებებში. მენეჯმენტის (ხელოვნების) აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამა ამზადებს ბიზნესის ადმინისტრირებისა საბაზისო თეორიული ცოდნით აღჭურვილ სპეციალისტებს მენეჯმენტის მიმართულებით და მათ შორის ხელოვნების მენეჯმენტის მიმართულებით, შესაბამისად პროგრამას თავისი წვლილი შეაქვს დარგის და საზოგადოების განვითარებაში. ამასთან, პროგრამის მიზნები შეესაბამება საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, რომლის ერთერთი ძირითადი მიმართულებაა ხელოვნების ფუნდამენტური დარგების (მათ შორის, პრიორიტეტულად თეატრალური, კინო–ტელე, ქორეოგრაფიული და სხვა) განვითარება და ამავე დარგების კვლევა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ მენეჯმენტი (ხელოვნების) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ▪ უნივერსიტეტის მისია; ▪ შრომის ბაზრის და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი; ▪ ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომამდგენლებთან; ▪ უნივერსიტეტის ვებ გვერდი http://www.tafu.edu.ge/;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მენეჯმენტის (ხელოვნების) პროგრამის სწავლის შედეგები გაწერილია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს საბაკალავრო საფეხურის სწავლის შედეგების აღმწერის მიხედვით და შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან, კერძოდ პროგრამა სტუდენტს აძლევს ცოდნას ბიზნესის ადმინისტრირების, კერძოდ კი მენეჯმენტის, ხელოვნების მენეჯმენტის მიმართულებით, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა პროფესიული ცნობიერების ფორმირებას, ფუძემდებლური მენეჯერული ღირებულებების გააზრებას სოციალური პასუხისმგებლობის კონტექსტში, თანამედროვე პროფესიული კატეგორიებით აზროვნების უნარის გამომუშავებას, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის კურსდამთავრებულების აღჭურვას ბაკალავრისათვის დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში.უნივერსიტეტში დანერგილია და ფუნქციონირებს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი, თეორიული კურსების შეფასების სისტემა და შეფასების კრიტერიუმები და წერითი ნაშრომის შესრულების სტანდარტები. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ პროგრამაში გათვალისიწინებულია პრაქტიკის კომპონენტი, ე.წ. საბაკალავრო გამოცდის და ნაშრომის არჩევის კომპონენტი, განახლებულია ცალკეული სასწავლო კურსების სილაბუსები და ა.შ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მენეჯმენტი (ხელოვნების) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი
- თეორიული კურსების შეფასების სისტემა და შეფასების კრიტერიუმები;
- წერითი ნაშრომის შესრულების სტანდარტები;
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომამდგენლებთან;
- ინერვიუები პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამტავრებულებთან;
- ინტერვიუები პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- უნივერსიტეტის ვებ გვერდი http://www.tafu.edu.ge/;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამას - მენეჯმენტი (ხელოვნების), განსაზღვრული აქვს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები. რომელიც ითვალისწინებს აბიტურიენტების მიღებას ერთიანი ეროვნული გამოცდებით (ქართული ენა და ლიტერატურა, ზოგადი უნარები, უცხო ენა, ქართული ლიტერატურა ან ისტორია ან მათ შორის მათემატიკაც). აღნიშნული ინფორმაცია საჯაროა და ხელმისაწვდომია თეატრალური უნივერსიტეტი ვებ-გვერზე. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას და შეესაბამება საქართველოში მოქმედ საკანონმდებლო რეგულაციებს. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომია. ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ მენეჯმენტი (ხელოვნების) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ▪ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ▪ ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომამდგენლებთან; ▪ უნივერსიტეტის ვებ გვერდი http://www.tafu.edu.ge/;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის კურსდამთავრებულს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში აკადემიური ხარისხი ენიჭება 240 კრედიტის დაგროვების შედეგად, რომელიც სტუდენტმა უნდა შეასრულოს 8 სემესტრში. კრედიტები განაწილებულია შემდეგნაირად: 137 კრედიტი ძირითადი საგნები, 43 - კრედიტი ზოგადსაუნივერსიტეტო დისციპლინები (აქედან ინგლისურ ენას ეთმობა 26 კრედიტი), 30 კრედიტი - ზოგადი, 30 კრედიტი - არჩევითი კურსებისგან. უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამაში მითითებულია რომ მერვე სემესტრში სტუდენტის თეორიული ცოდნისა და ანალიტიკური უნარ-ჩვევების ათვისება ხდება დამასრულებელ პროექტში, სახელმწიფო გამოცდაში ან საბაკალავრო ნაშრომში. ხოლო პროგრამის ძირითად ბადეში მერვე სემესტრში აღნიშნული კომპონენტი ფორმულირებულია როგორც საკვალიფიკაციო ნაშრომი (დიპლომი). თვითშეფასების ანგარიშში კი მითითებულია, რომ პროგრამა სრულდება საბაკალავრო-საკვალიფიკაციო ნაშრომით. ეს კომპონენტი როგორც ფორმულირების, ასევე შინაარსობრივი თვალსაზრისითაც გარკვეულწილად ბუნდოვანია და მოითხოვს დაკონკრეტებას. კერძოდ, როგორც გასაუბრებიდან ირკვევა (პროგრამის ხელმძღვანელი, თვითშეფასების ჯგუფი) სტუდენტები მერვე სემესტრში ირჩევენ სახელმწიფო გამოცდას ან საბაკალავრო ნაშრომს რომელიც შეადგენს 15 კრედიტს. საბაკალავრო ნაშრომი მისი თვისებრივი მახასიათებლებიდან გამომდინარე მოიცავს გარკვეულ კვლევით კომპონენტს, ნაშრომზე მუშაობის პროცესი არის საკმაოდ დინამიკური და აქტიური, რომელიც ეფუძნება, როგორც დამოუკიდებელ მუშაობას, ასევე ხელმძღვანელთან აქტიურ კომუნიკაციას. სახელმწიფო გამოცდის შემთხვევაში სტუდენტები ასრულებენ წერილობით დავალებებს რომელიც ეყრდნობა იმ დისციპლინების საკითხებს რომელშიც გამოცდები პროგრამის მიხედვით უკვე ჩაბარებული აქვთ სტუდენტებს. აქედან გამომდინარე, ამ კომპონენტობის არჩევითობა განსაზღვრულ კრედიტთან მიმართებით ნაკლებად საპირწონეა საბაკალავრო ნაშრომის, შესაბამისად პროგრამის სრულყოფის თვალსაზრისით აუცილებელია ამ კომპონენტის შესაბამისობაში მოყვანა.

საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურის მიხედვით, საგნები განაწილებულია ოთხ ძირითად ბლოკში: პირველი ბლოკი ფოკუსირებულია ხელოვნებისა და კულტურის ისტორიის საგნებზე, კერძოდ კი ბლოკი მოიცავს სულ 10 სასწავლო კურსს (თითოეული სასწავლო კურსი 3 კრედიტიანია, სულ 30 კრედიტი) და მასში თავმოყრილია ქრონოლოგიური პრინციპით დალაგებული ხელოვნების ისეთი დარგების ისტორია, როგორიცაა სხვადასხვა ეპოქის მსოფლიო და ქართული ლიტერატურა, სახვითი ხელოვნება, კინო, მუსიკა და თეატრი. აღნიშნულ საგნებს ემატება არჩევითი საგნების ნუსხიდან ორი სასწავლო კურსი, რომლებიც ასევე ხელოვნების დარგებსა და პრინციპებს ეხება. მოდულის მიზანს წარმოადგენს მისცეს სტუდენტს მყარი და კომპლექსური ცოდნა კულტურის/ხელოვნების სფეროს შესახებ. სასწავლო კურსები დალაგებულია მარტივიდან რთულისკენ თანდათანობით გადასვლის პრინციპით და ლოგიკურად უვითარებს სტუდენტს შესაბამის კომპეტენციებს. მეორე ბლოკში გათვალისწინებულია ეკონომიკისა და ბიზნესის მიმართულების დისციპლინები, მესამე ბლოკი მოიცავს კულტურის სფეროს მართვასთან დაკავშირებულ საგნებს, მეოთხე ბლოკი მენეჯმენტისა და ფინანსური პოლიტიკის საგნებზეა ორიენტირებული.

უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის სილაბუსებში საგნებზე დაშვების წინაპირობები საჭიროებს დაკონკრეტებას და დახვეწას, კერძოდ სილაბუსების გარკვეულ ნაწილში (მაგალითად: კულტურისა და ხელოვნების ისტორია მსოფლიო კინოს ისტორია; კულტურისა და ხელოვნების ისტორია XIX-XX საუკუნეების მსოფლიო თეატრი; კულტურისა და ხელოვნების ისტორია მსოფლიო თეატრი ანტიკურიდან განმანათლებლობის ეპოქის ჩათვლით; სამუზეუმო საქმის მენეჯმენტი; ფანდრაიზინგი და სპონსორობა, სტატისტიკის საფუძვლები და ფინანსების საფუძვლები) დაშვების წინაპირობები ფორმულირებულია შემდეგი სახით: ,,სტუდენტებს გავლილი უნდა ჰქონდეთ“,

საჭიროებს ,,უმაღლესი მათემატიკის ცოდნას“, ,,სასურველია შესწავლილი ჰქონდეთ“, ,,სასურველია სტუდენტი პარალელურად გადიოდეს“, ცხადია, რომ დაშვების წინაპირობები პროგრამაში უნდა განისაზღვროს გამოკვეთილად. ამასთან, სასწავლო კურსების (საზოგადოებასთან ურთიერთობა (PR), რეკლამა და სარეკლამო საქმის ორგანიზება, ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, კულტურის სფეროს მენეჯმენტი (თეორიული კურსი), კინო-და აუდიო ვიზუალური ხელოვნების მენეჯმენტი) წინაპირობებიდან სასურველია ამოღებული იქნეს ეკონომიკის პრინციპები, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტების აკადემიური თავისუფლების ხარისხის გაზრდას, ხოლო სასწავლო კურსების: პროექტების მენეჯმენტი და საშემსრულებლო ხელოვნების მენეჯმენტი წინაპირობად უნდა განისაზღროს მენეჯმენტის საფუძვლები., ხოლო კულტურის სფეროს მენეჯმენტის (პრაქტიკული კურსი) წინაპირობად უნდა განისაზღვროს - კულტურის სფეროს მენეჯმენტის (თეორიული კურსი). ასევე, მიგვაჩნია რომ პროგრამის სტრუქტურაში სავალდებულო სასწავლო კურსების სახით შეთავაზებული უნდა იქნეს მომსახურების მარკეტინგი, ბუღალტრული აღრიცხვა, ოპერაციების მენეჯმენტი, რაც კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას. ხოლო პროგრამის სავალდებლო დისციპლინები: უმაღლესი მათემატიკა 1 და უმაღლესი მატემატიკა 2 მათი შინაარსიდან და სტრუქტურიდან გამომდინარე რეკომედებულია ჩამოყალიბდეს როგორც ერთი 5 კრედიტიანი სასწავლო კურსი სახელწოდებით: კალკულუსი. ამასთან, პროგრამის არჩევით საგნებში წარმოდგენილი სასწავლო კურსი „სატელევიზიო ხელოვნება“ პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე (პროგრამა ხელოვნების მენეჯერების აღზრდას ისახავს მიზნად) უმჯობესია ძირითად საგანთა ბლოკში გადავიდეს, რათა ასეთი აქტუალური და მოთხოვნადი დასაქმების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ხელოვნების დარგის /ინდუსტრიის შესახებ მისცეს სტუდენტს მყარი ცოდნა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მენეჯმენტი (ხელოვნების) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან;
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომამდგენლებთან;
- უნივერსიტეტის ვებ გვერდი http://www.tafu.edu.ge/;

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია პროგრამის სტრუქტურაში დაკონკრეტდეს სწავლების ბოლო სემესტრში სტუდენტები კონკრეტულად რომელ აქტივობას ასრულებენ: დამასრულებელ პროექტს, სახელმწიფო გამოცდას თუ საბაკალავრო ნაშრომს. ექსპერტთა მოსაზრებით უმჯობესია პროგრამა დასრულდეს საბაკალავრო ნაშრომის სავალდებულო შესრულებით;
- რეკომენდებულია პროგრამის სასწავლო კურსების (მაგალითად: კულტურისა და ხელოვნების ისტორია მსოფლიო კინოს ისტორია; კულტურისა და ხელოვნების ისტორია XIX-XX საუკუნეების მსოფლიო თეატრი; კულტურისა და ხელოვნების ისტორია მსოფლიო თეატრი ანტიკურიდან განმანათლებლობის ეპოქის ჩათვლით; სამუზეუმო საქმის მენეჯმენტი; ფანდრაიზინგი და სპონსორობა, სტატისტიკის საფუძვლები და ფინანსების საფუძვლები) სილაბუსებში კურსზე დაშვების წინაპირობების განსაზღვრისას დაკონკრეტდეს წინაპირობები პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების სახელწოდებების მიხედვით;
- რეკომენდებულია სასწავლო კურსების: პროექტების მენეჯმენტი და საშემსრულებლო ხელოვნების მენეჯმენტი წინაპირობად განისაზღროს მენეჯმენტის საფუძვლები., ხოლო კულტურის სფეროს მენეჯმენტის (პრაქტიკული კურსი) წინაპირობად განისაზღვროს - კულტურის სფეროს მენეჯმენტის (თეორიული კურსი);
- რეკომენდებულია პროგრამის არჩევით საგნებში წარმოდგენილი სასწავლო კურსი „სატელევიზიო ხელოვნება“ პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე (პროგრამა ხელოვნების მენეჯერების აღზრდას ისახავს მიზნად) გადავიდეს პროგრაის სავალდებულო დისციპლინების ბლოკში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ▪ სასურველია სასწავლო კურსების (საზოგადოებასთან ურთიერთობა (PR), რეკლამა და სარეკლამო საქმის ორგანიზება, ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, კულტურის სფეროს მენეჯმენტი (თეორიული კურსი), კინო-და აუდიო ვიზუალური ხელოვნების მენეჯმენტი) წინაპირობებიდან ამოღებული იქნეს ეკონომიკის პრინციპები;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან √ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაში გათვალისწინებულია ის ძირითადი სასწავლო კურსები, რომელიც აუცილებელია ,,მენეჯმენტის (ხელოვნების)" პროფილის საგანმანათლებლო პროგრამისათვის. მთლიანობაში პროგრამაში მოცემული სასწავლო კურსები ორიენტირებულია დარგობრივი კომპეტენციების განვითარებაზე და პრაქტიკაში თეორიული ცოდნის გამოყენებაზე. თუმცა, შეფასებისას გამოიკვეთა გარკვეული რეკომენდაციბი რომელიც ეხება სილაბუსებში სასწავლო კურსის მიზნების ადეკვატურად ფორმულირებას, შეფასების სისტემის, სწავლის შედეგებისა და ზოგიერთი სასწავლო კურსის შინაარსობრივ ასპექტებს. კერძოდ, ეკონომიკისა და ბიზნესის ბლოკში შემავალ სასწავლო კურსებში: ღონისძიებების მენეჯმენტი - გასაახლებელია ძირითადი და სავალდებულო ლიტერატურა; ბიზნესის საფუძვლები - მკაფიოდ უნდა ჩამოყალიბდეს სასწავლო კურსის მიზანი და დაკონკრეტდეს საგანზე დაშვების წინაპირობა, მიზანშეწონილია შეთავაზებული თემების დახვეწა; საზოგადოებასთან ურთიერთობა - მიზანშეწონილია დამატებითი ლიტერატურიდან რუსულენოვანი წყაროს ამოღება და მისი ჩანაცვლება ინგლისური ან ქართული ლიტერატურით; უმაღლესი მათემატიკა I და უმაღლესი მათემატიკა II - იდენტურია სასწავლო კურსის მიზნები, რაც ბუნებრივია საგნის ლოგიკური გართულებიდან გამომდინარე უნდა იყოს სხვადასხვა. ეკონომიკის პრინციპები - გრეგორი მენქიუ, „ეკონომიკის პრინციპები", მითითებულია დამატებით ლიტერატურაში, მიუხედავად იმისა რომ სილაბუსების ძირითად თემებში წყაროებში ძირითად ნაწილშია წარმოდგენილი; მარკეტინგის საფუძვლები - დასახვეწია კურსის მიზანი, ძირითად ლიტერატურაში მითითებულია არმსტრონგი, კოტლერი, მარკეტინგის საფუძვლები, 2006 წლის გამოცემა, რაც მოძველებულია. ასევე, კურსის შესაბამისად უნდა გაიწეროს სწავლის შედეგები; ადამიანური რესურსების მენეჯმენტი - ლიტერატურის სავალდებულო წყაროდ მითითებულია პერსონალის მართვა (მეთოდურ პრაქტიკული სახელმძღვანელო) საჯარო სამსახურის ბიბლიოთეკა (UNDP), რომელიც 2003 წლის გამოცემაა და საჭიროებს განახლებას. რაც შეეხება მენეჯმენტის და ფინანსური პოლიტიკის ბლოკის დისციპლინებს: პროექტების მენეჯმენტი - დასახვეწია სასწავლო კურსის შინაარსობრივი კომპონენტები, აუცილებელია კურსის მიზნების ადეკვატური ლიტერატურის მითითება; პროექტების მართვა (პრაქტიკული კურსი) - აღნიშნული კურსი შინაარსობრივი თვალსაზრისით შესაბამისობაშია პროფესიულ პრაქტიკასთან, მიგვაჩნია რომ მას უნდა შეეცვალოს სახელი ,,პროფესიული პრაქტიკით" და პროგრამის ძირითად ბადეში გადმოინაცვლოს მე-8 სემესტრში. ფანდრაიზინგი და სპონსორობა - სავალდებული წყაროდ მითითებულია რუსული ლიტერატურა რაც საჭიროებს გადახედვას და მის გამრავალფეროვნებას ინგლისურენოვანი შესაბამისი ლიტერატურით; ფინანსების საფუძვლები - დასახვეწია საგნის შინაარსობრივი კომპონენტები და შესაბამისად სწავლის შედეგები, ვინაიდან ისინი ფინანსური მენეჯმენტის შინაარსობრივ კონტექსტს იმეორებს და სცდება ფინანსების საფუძვლების შინაარს. რაც შეეხება, კულტურის/ხელოვნების მოდულის სასწავლო კურსებს, ისინი შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, შესაბამისად თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი და მოცულობა შეესაბამება კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს. აღნიშნული მოდულის სასწავლო კურსები უმეტესწილად დაფუძნებულია სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა რამდენიმე სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებული ლიტერატურა გასამდიდრებელია ახალი სამეცნიერო გამოცემებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მენეჯმენტი (ხელოვნების) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან;
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომამდგენლებთან;
- ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- უნივერსიტეტის ვებ გვერდი http://www.tafu.edu.ge/;

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია სასწავლო კურსებში: ღონისძიებების მენეჯმენტი, საზოგადოებასთან

ურთიერთობა, ადამიანური რესურსების მენეჯმენტი სავალდებულო ლიტერატურის განახლება;

- რეკომენდებულია მკაფიოდ უნდა ჩამოყალიბდეს სასწავლო კურსის ,,ბიზნესის საფუძვლები“ - მიზანი და დაიხვეწოს შეთავაზებული თემები საგნის სპეციფიკის გათვალიწინებით;
- რეკომენდებულია სასწავლო კურსებში: უმაღლესი მათემატიკა I და უმაღლესი მათემატიკა II - ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს სასწავლო კურსის მიზნები, რაც ბუნებრივია საგნის ლოგიკური გართულებიდან გამომდინარე უნდა იყოს სხვადასხვა;
- რეკომენდებულია სასწავლო კურსში ,,ეკონომიკის პრინციპები“ სავალდებულო ლიტერატურად განისაზღვროს - გრეგორი მენქიუს „ეკონომიკის პრინციპები“ რაც დამატებით ლიტერატურაშია მითითებული;
- რეკომენდებულია სასწავლო კურსში ,,მარკეტინგის საფუძვლები“ დაიხვეწოს კურსის მიზანი, და ძირითად ლიტერატურაში მითითებულა არმსტრონგი, კოტლერის, „მარკეტინგის საფუძვლები“, 2006 წლის გამოცემა, ჩანაცვლდეს უახლესი გამოცემით;
- რეკომენდებულია სასწავლო კურსში ,,პროექტების მენეჯმენტი“ - დაიხვეწოს სასწავლო კურსის მიზნები და სავალდებულო ლიტერატურად გამოყენებული იქნეს პროექტების მართვის უახლესი სახელმძღვანელოები;
- რეკომენდებულია სასწავლო კურსის ,,პროექტების მართვა (პრაქტიკული კურსი)“ სახელწოდება მისი შინაარსიდან გამომდინარე ჩამოყალიბდეს, როგორც ,,პროფესიული პრაქტიკა“ და პროგრამის ძირითად ბადეში გადმოინაცვლოს მე-8 სემესტრში;
- რეკომენდებულია სასწავლო კურსში ,,ფანდრაიზინგი და სპონსორობა“ - სავალდებულო ლიტერატურა გამრავალფეროვნებული იქნეს ქართული ან ინგლისურენოვანი შესაბამისი ლიტერატურით და სალექციო კურსებით;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, შემუშავდეს მეოცე საუკუნის ქართული ხელოვნების ისტორიის სასწავლო კურსი ან ქართული ხელოვნების ისტორიის არსებულ კურსს დაემატოს თანამედროვე ქართული ხელოვნების ნაწილი (არსებული კურსი მოიცავს მეოცე საუკუნის ქაართულ ხელოვნებას მხოლოდ 20-30-იან წლებამდე), რათა სტუდენტს უფრო ღრმა ცოდნა მისცეს თანამედროვე ქართული კულტურის შესახებ.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო პროგრამა ითვალისწინებს კვლევით კომპონენტს რომელიც პროგრამის ძირითად ბადეში ფორმულირებულია, როგორც საკვალიფიკაციო ნაშრომი (დიპლომი). საბაკალავრო ნაშრომის მომზადების და დაცვის პროცესი მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა რათა შემოწმდეს საბაკალავრო პროგრამით სწავლისას მიღებული უნარ-ჩვევები და მისი პრაქტიკაში რეალიზების შესაძლებლობები. უმაღლესი სასწავლო დაწესებულება სტუდენტებს ასევე სთავაზობს პროფესიულ პრაქტიკასაც რომელიც ხორციელდება პროექტების მენეჯმენტის პრაქტიკული კურსის ფარგლებში. უმაღლესი სასწავლო დაწესებულება ხელს უწყობს სტუდენტების სხვადასხვა პროექტებში ჩართულობას, როგორიცაა ფესტივალები, გამოფენები, სტაჟირება სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებში და ა.შ. ბუნებრივია პრაქტიკული ხასიათის აქტივობები ხელს უწყობს სტუდენტების კვლევითი და ანალიტიკური კომპეტენციების და ტრანსფერული უნარების განვითარებას. ასევე, პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი ხორციელდება ძირითადი სპეციალობის (ხელოვნების მენეჯერი) კუთხით და მენეჯერისთვის აუცილებელ უნარ-ჩვევებს უვითარებს სტუდენტს, თუმცა კულტურის სფეროს ორგანიზაციებში გავლილი პრაქტიკა ბუნებრივად აღრმავებს ამ სფეროში მიღებულ ცოდნას (სტუდენტს შესწავლილი აქვს კინოს, თატრის, მუსიკის, ლიტერატურის და სახვითი ხელოვნების ისტორია სხვადასხვა ეპოქისა და ქვეყნის მაგალითზე), ამდიდრებს მას გამოცდილებაზე დაფუძნებული უნარებით. სტუდენტებთან ინტერვიუს მიმდინარეობისას დაფიქსირდა მათი მოსაზრება, რომ უმჯობესი იქნება, დაწესებულებამ უკეთ გამოიყენოს პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების შიგნით არსებული პოტენციალი და საშუალება მისცეს პროგრამის სტუდენტებს პროფესიული უნარები შეიძინონ უნივერსიტეტის საშემსრულებლო ფაკულტეტის სტუდენტებთან შემოქმედებითი თანამშრომლობის პროცესში, (მაგალითად, კინოპროდუქციის პროდიუსინგი, სპექტაკლების, საზეიმო ღონისძიებების მენეჯმენტი და სხვა).
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ საგანმანათლებლო პროგრამა; ▪ სასწავლო კურსების სილაბუსები; ▪ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ▪ ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან; ▪ ინტერვიუები პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ▪ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი http://www.tafu.edu.ge/wm.php
რეკომენდაციები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ▪ სასურველია, უფრო აქტიურად იყოს გამოყენებული დაწესებულების შიდა რესურსი და გამყარდეს ფაკულტეტებს შორის ინტეგრაცია პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების პროცესში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამაში გამოყენებულია სწავლება-სწავლის შემდეგი მეთოდები: ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი (დისკუსია/დებატები, როლური და სიტუაციური თამაშები), წიგნზე მუშაობის მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: რიდერებიდან ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის შესრულება, და ა.შ. დემონსტრირების მეთოდი - რომლის ფარგლებში პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე ხდება აუდიო-ვიზუალური მასალის შეფასება და განხილვა. უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ აღნიშნული მეთოდები აპრობირებულია მენეჯმენტის მიმართულების პროგრამის განხორციელების პროცესში, თუმცა სასწავლო კურსის სილაბუსებში სწავლება-სწავლის მეთოდოლოგიური ნაწილი გარკვეულწილად უნიფიცირებულია, რაც ჩვენი აზრით უნდა ადაპტირდეს კონკრეტული დისციპლინის შინაარსთან და სპეციფიკასთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ საგანმანათლებლო პროგრამა მენეჯმენტი (ხელოვნების); ▪ სასწავლო კურსების სილაბუსები; ▪ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ▪ ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მომწვეულ პერსონალთან; ▪ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი http://www.tafu.edu.ge/wm.php
რეკომენდაციები: ▪ რეკომენდებულია სასწავლო კურსის სილაბუსებში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდოლოგიური აპარატის მეტი ადაპტირება კონკრეტული დისციპლინის შინაარსთან და სპეციფიკასთან.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას გამოიყენება სტუდენტის უწყვეტი შეფასების პრონციპი. განვლილი სასწავლო კურსის პროგრამით გათვალისწინებული საკითხების ათვისება შეფასებულია 100 ქულიანი სისტემით, რომელიც სასწავლო პროცესში ჩართული კომპონენტების წილისგან შედგება. სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს: მიმდინარე შეფასებებს, ზეპირი განხილვას, დებატებს (ზეპირი), გამოკითხვები წინასწარი მომზადების გარეშე (ზეპირი ან წერილობითი), დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას, მოკლე ტესტირება (წერილობითი), საკურსო შრომა (წერილობითი), ესე, კრიტიკული წერილი, ანალიტიკური წერილი და სხვ. (წერილობით), პროექტის პრეზენტაცია (ჯგუფური და/ან ინდივიდუალური პრეზენტაცია), ტექსტის ანალიზი (ზეპირი და წერილობითი), საბოლოო ტესტირება (წერილობითი), შუასემესტრულ შეფასებას, საბოლოო გამოცდა. სტუდენტების ცოდნის შეფასებისათვის გამოიყენება როგორც ზეპირი, ასევე წერითი (ტესტი, ღია კითხვები, ესსე და ა.შ) გამოკითხვა. აუცილებელი მოთხოვნაა საშინაო დავალების მომზადება და მისი პრეზენტაცია. შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახულია კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში. სტუდენტი ეცნობა შეფასების სისტემას სასწავლო სემესტრის დასაწყისში. საბაკალავრო პროგრამის შეფასება მრავალ კომპონენტიანია, ტარდება საკრედიტო სისტემის შესაბამისად და მოიცავს 100 ქულას, დადებითი ქულების რანჟირების და კრედიტების დაგროვების პრინციპით. შეფასების კრიტერიუმები დაკავშირებულია დისციპლინების ინდივიდუალური შესწავლის რეზულტატებთან. საბოლოო შეფასება ზოგადად ნაწილდება შემდეგი სქემით: I დასწრება – აქტივობა - მაქსიმუმ 15 ქულა II სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დავალებები და სხვ. - მაქსიმუმ 25 ქულა III შუალედური შემოწმება - მაქსიმუმ 20 ქულა IV ფინალური გამოცდა - მაქსიმუმ 40 ქულა

საბოლოო შეფასება - მაქსიმუმ 100 ქულა. სტუდენტის შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით და გამოიყენება ყველა სტუდენტის მიმართ, შეფასების კომპონენტებიც და კრიტერიუმებიც გამჭვირვალეა და ხელმისაწვდომია სტუდენტისათვის (სასწავლო კურსების სილაბუსები, ვებგვერდზე განთავსებული მარეგულირებელი დოკუმენტაცია.). სტუდენტისათვის უკუკავშირის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებულია მისი შედეგების და მიღწევების ანალიზი/განხილვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ საგანმანათლებლო პროგრამა მენეჯმენტი (ხელოვნების); ▪ სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის თეორიული კურსების შეფასების სისტემა და შეფასების კრიტერიუმები; ▪ სასწავლო კურსების სილაბუსები; ▪ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ▪ ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ▪ ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან; ▪ სტუდენტების გამოკითხვის შედეგები;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა			√	

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დაწესებულებაში სტუდენტებისთვის შეთავაზებულია რიგი სერვისებისა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტთა ინფორმირებას სხვადასხვა მიმართულებებით, თუმცა დაწესებულებაში არსებობს მიმართულებები, რომელიც საჭიროებს დახვეწას ან რიგ შემთხვევებში ახალი სერვისის შექმნას. კერძოდ, პროგრამის ფარგლებში სტუდენტთა სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე პასუხისმგებელია ფაკულტეტის ადმინისტრაცია. პროგრამის სტუდენტებისათვის ცხრილი წინასწარ დგინდება, შესაბამისად სტუდენტები მოკლებული არიან შესაძლებობას თავად დაგეგმონ თავიანთი განრიგი. აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისათვის სტუდენტები იღებენ მხარდაჭერას, როგორც პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალისგან, ისე პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტის ადმინისტრაციისგან. დაწესებულებას აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებული აქვს სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობის/კონსულტაციის საათები. სტუდენტები ინფორმირებული არიან მიღებული შეფასებების გასაჩივრების შესაძლებლობაზეც და ხშირად მიმართავენ აღნიშნულს, თუმცა აღნიშნული პროცედურა საჭიროებს დახვეწას/დოკუმენტურად დადასტურებას. სტუდენტთა ინფორმირებისთვის უნივერსიტეტში გამოკრულია სხვადასხვა სახის საინფორმაციო ტექსტები, ფუნქციონირებს დაწესებულების ვებ-გვერდიც. სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სისტემაში სტუდენტები ამ ეტაპზე არ იღებენ საინფორმაციო ხასიათის შეტყობინებებს, თუმცა დაწესებულების ადმინისტრაციის განცხადებით, დაგეგმილია სისტემის გაუმჯობესება და ფუნქციონალის გაზრდა. უნივერსიტეტში გამოყენებული არ არის კორპორატიული ელექტრონული ფოსტა. სტუდენტები ინფორმირებული არიან თავიანთი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ, მათ შორის აკადემიურ კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებულ შეზღუდვებზე და პლაგიატის აკრძალვაზე. დაწესებულება მასპინძლობს/ორგანიზებას უწევს სხვადასხვა სახის ღონისძიებებს, თუმცა ძირითადად პროგრამისგან განსხვავებული მიმართულებებით, რასაც ადასტურებენ სტუდენტებიც და თვლიან, რომ საჭიროა მეტი ფოკუსირება პროგრამასთან ბმაში მყოფ საკითხებზე. დაწესებულებაში გასააქტიურებელია კარიერული მხარდაჭერის მექანიზმები, ვიზიტის დროისათვის აღნიშნულ ფუნქციას დაწესებულებაში ასრულებს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, რომელიც სტუდენტებისათვის ძირითადად ვაკანსიების გაცნობით შემოიფარგლება. სტუდენტებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა ინტერნაციონალიზაციის კუთხით აქტივობების გაძლიერების საჭიროება, შესაბამისად პროგრამის განვითარების თვალსაზრისით მიზანშეწონილად მიგვაჩნია უმაღლესმა სასწავლო დაწესებულებამ გააქტიუროს მუშაობა ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით. ასევე, გასააქტიურებელია საჯარო ლექციები/ვორქშოპები უცხოელი დარგის ექსპერტების მონაწილეობით. აღნიშნული მდგომარეობა სრულად არის გააზებული დაწესებულების მიერ და დაგეგმილია მისი გამოსწორება ახლო მომავალში
მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა მენეჯმენტი (ხელოვნების);
- ხელოვნების მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან;
- აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა;
- დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- დაწესებულების ვებ-გვერდი;
- სასწავლო პროცესის ადმინისტრირების ელ.პროგრამა;

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამის შინაარსთან ბმაში მყოფი დარგის ექსპერტების მოწვევა საჯარო ლექციების ვორქშოპების და ტრენინგების ჩატარების მიზნით;
- რეკომენდებულია ინტერაციონალიზაციის მიმართულებით მუშაობის გაძლიერება, პარტნიორების მოძიება, სტუდენტების და პროფესორ-მასწავლებლების ერთობლივ აქტივობებში ჩართულობის უზრუნველყოფა;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია გადაიხედოს სტუდენტებთან კომუნიკაციის არხები, რათა უზრუნველყოფილი იქნეს შიდა ეფექტური კომუნიკაცია, მათ შორის, დაიხვეწოს დაწესებულების ვებ-გვერდის ინტერფეისი;
- სასურველია სტუდენტებმა თავად დაგეგმონ საკუთარი სასწავლო ცხრილი;
- სასურველია უნივერსიტეტმა სტუდენტებს შესთავაზოს სტუდენტური პროექტების/იდეების მხარდაჭერის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც მოხდება შერჩეული პროექტების დაფინანსება;
- სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს სტუდენტებისა და კურსადმთავრებულების კარიერული განვითარების მხარდაჭერის მექანიზმების გააქტიურება, თუნდაც დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეულის შექმნის მეშვეობით;
- სასურველია დაწესებულებამ შექმნას კორპორატიული ელექტრონული ფოსტის ანგარიშები. აღნიშნული გაამარტივებს ელექტრონულ კომუნიკაციას დაწესებულების შიგნით;

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ▪ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		✓		

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირები პროგრამაში ჩართულები არიან კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების შესაბამისად. პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობასთან. პროგრამის განხორციელებაში სულ ჩართულია 13 აფილირებული აკადემიური პერსონალი და 23 მოწვეული ლექტორი. აფილირებული პერსონალიდან მენეჯმენტის მიმართულებით მუშაობს 4 ლექტორი. ჩვენი აზრით პროგრამის ძირითადი ბადის მენეჯმენტის მიმართულების დისციპლინებიდან გამომდინარე საჭიროა დამატებით შესაბამისი კვალიფიკაციის პერსონალის მოწვევა. საგანმანათლებლო პროგრამას გააჩნია აკადემიური და მოწვეული პერსონალის სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემა, რომელიც მოიცავს სასწავლო და/ან სამეცნიერო-კვლევით და სხვა დატვირთვას მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობებიდან გამომდინარე. პროგრამას ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის შესაბამისი დარგის პროფესორი, რომელიც პასუხისმგებელია სილაბუსების ხარისხსა და ზოგადად ხარისხის სტანდარტებთან პროგრამის შესაბამისობაზე (მოვალეობები გაწერილია ფაკულტეტის დებულებაში). მისი სამეცნიერო და პრაქტიკული მოღვაწეობა შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. პროგრამის ხელმძღვანელი ჩართულია პროგრამის შეფასება- განვითარებაში და პროგრამის ფარგლებში

დაგეგმილ სხვა ღონისძიებებში. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, მისი კვალიფიკაცია დასტურდება მიმართულების/დარგის შესაბამისი განათლებით, პრაქტიკული გამოცდილებით და/ან სამეცნიერო ნაშრომებით. პროგრამის ხელმძღვანელი მონაწილეობდა პროგრამის შეფასება-განვითარებაში და ჩართულია პროგრამის განხორციელებაში. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ასევე ჩართულია შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ▪ პერსონალის პირადი საქმეები; ▪ სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის დებულება; ▪ აკადემიური და მოწვეული პერსონალის ხელშეკრულებები; ▪ ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან; ▪ ინტერვიუები ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან; ▪ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი http://www.tafu.edu.ge/wm.php
რეკომენდაციები: ▪ რეკომენდებულია დაწესებულებამ გრელვადიან პერიოდში კიდევ უფრო გაზარდოს მენეჯმენტის მიმართულების აფილირებული პერსონალის რაოდენობა;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში ხარისხის გაუმჯობესების მიზნით პერმანენტულად ტარდება მონიტორინგი. აღნიშნული პროცესის გაკონტროლება ხდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, სხვა შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს როგორც აფილირებული, ასევე მოწვეული პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის მონიტორინგს. რაც დასტურდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წარმოდგენილ კვლევებით და ანგარიშებით. კვლევისათვის ძირითადად გამოიყენება ანკეტური გამოკითხვის მეთოდი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შეიმუშავებს კონკრეტულ რეკომენდაციებს. უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი აქტიურ მონაწილეობას იღებს სამეცნიერო კონფერენციებში. უნივერსიტეტში ყოველწლიურად იმართება სამეცნიერო კონფერენცია, აღნიშნულ კონფერენციაზე გამოქვეყნებული ნაშრომები იბეჭდება სამეცნიერო ჟურნალში ,,სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი", რომელსაც ბეჭდავს უნივერსიტეტის გამომცემლობა ,,კენტავრი". მიუხედავად აღნიშნული აქტივობებისა, უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის კუთხით მიზანშეწონილია პროფესორების მობილობაში აქტიური მონაწილეობა, რომელიც ხელს შეუწყობს როგორც ახალი ცოდნის ტრანსფერს, ასევე პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- ინტერვირება პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მომწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან;
- საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი http://www.tafu.edu.ge/wm.php

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის პროცესების გააქტიურება;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა უზრუნველყოფილია საჭირო ტექნიკური აღჭურვილობით და ინფრასტრუქტურით. უნივერსიტეტის პირველ და მეორე კორპუსში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა. ამავე კორპუსებში განლაგებულია სასწავლო აუდიტორიები, ვიდეოთეკა, დარბაზები. უნივერსიტეტის მეორე კორპუსი ინფრასტრუქტრის კეთილმოწყობის კუთხით საჭიროებს განახლებას. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკით (ბიბლიოთეკის ფონდი და საერთაშორისო ელექტრონული ბაზები), სასწავლო პროცესში გამოიყენება ელექტრონული ბაზა. მთლიანობაში უნივერსიტეტში არსებული ინფრასტრუქტურა საშუალებას იძლევა მიღწეულ იქნეს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ინფრასტრუქტურის, ტექნიკური აღჭურვილობისა და წიგნადი ფონდის ფაქტობრივი მდგომარეობა;
- ინტერვირება პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მომწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუები პროგრამის სტუდენტებთან;
- ინტერვიუები ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან;
- საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი http://www.tafu.edu.ge/wm.php

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველო შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტს ბიუჯეტი განსაზღვრული აქვს სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის მასშტაბით. მთლიანობაში ფაკულტეტის ბიუჯეტი 735973 ლარია. უნივერსიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ის ფინანსური კომპონენტი, რომელიც წარმოადგენს პროგრამის ფინანსური სტაბილურობის წინაპირობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ საქართველო შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის ბიუჯეტი. ▪ ინტერვიუები ადმინისტრაციულ პერსონალთან;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია	ნაწილობრივ შესაბამისობაშია	არ არის შესაბამისობაში

		მოთხოვნებთან	**მოთხოვნებთან**	**მოთხოვნებთან**
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		√		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პროგრამის შეფასებისა და განვითარების წესი. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გეგმავს და ახორციელებს პროგრამის შეფასებას, მათ შორის შეიმუშავებს სახელმძღვანელოებს პროგრამის ხელმძღვანელისა და აკადემიური პერსონალისათვის, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის ფარგლებში სილაბუსების შესაბამისობა პროგრამის ძირითად მიზნებთან. მეორე მხრივ, პროგრამის აკადემიური პერსონალი, მიუხედავად ხარისხის სამსახურის მიერ ჩატარებული ტრენინგებისა და ვორქშოპებისა, მეტნაკლებად იცნობს საგნის სილაბუსის შედგენისათვის საჭირო ინსტრუმენტებს, ხშირია კურსების სილაბუსებში უზუსტობები (შეფასების კომპონენტებში, მეთოდებში, კურსის ფარგლებში მისაღწევი შედეგები და კურსის შინაარს არ ემთხვევა ერთმანეთს და ა.შ.). ხშირია ხარისხის სამსახურის მიერ მომზადებული ინსტრუქციებიდან ინფორმაციის პირდაპირი კოპირება, რაც ზოგიერთ შემთხვევაში სილაბუსს ბუნდოვანს ხდის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ საგანმანათლებლო პროგრამა მენეჯმენტი (ხელოვნების); ▪ ხელოვნების მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ▪ ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ▪ ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან; ▪ აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა; ▪ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; ▪ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი http://www.tafu.edu.ge/wm.php
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს აკადემიური პერსონალის მეტი ჩართულობა შიდა ხარისხის დოკუმენტებისა და შეფასების მექანიზმების შემუშავებაში;

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- დეტალურად არის გაწერილი ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო დოკუმენტები, რომელიც მთლიან ჩარჩოს/საზღვრებს აწესებს პროგრამისა და კონკრეტულად სილაბუსის დაგეგმვის პროცესში აკადემიური პერსონალისთვის (ე.გ. Manual). გარდა ამისა, მსგავსი დოკუმენტის არსებობა ხელს შეუწყობს ახალი აკადემიური პერსონალის ეფექტურ მუშაობას.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დაწესებულება პროგრამის განვითარებისათვის იყენებს გარე შეფასების (აკრედიტაცია, ავტორიზაციის პროცესი) შედეგებს. პროგრამა განიცდის ცვლილებებს, რომელიც ორიენტირებულია ძირითადად პროგრამის შინაარსობრივ გაძლიერებაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა მენეჯმენტი (ხელოვნების);
- ხელოვნების მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან;
- ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტები;
- დაწესებულების მიერ წარმოდგენილი გამოკითხვის შედეგები;
- საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი http://www.tafu.edu.ge/wm.php

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერიოდულად აფასებს პროგრამას. ამავე სამსახურის ორგანიზებით ტარდება აკადემიური პერსონალის, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვაც და შემდგომში შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება. შეფასების შედეგები გამოყენებულია პროგრამის გასაუმჯობესებლად და მსგავსი პრაქტიკა დაწესებულებას გააჩნია (პრაქტიკის კომპონენტის დამატება).
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ საგანმანათლებლო პროგრამა მენეჯმენტი (ხელოვნების); ▪ ხელოვნების მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ▪ ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან; ▪ ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტები; ▪ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი გამოკითხვის შედეგები; ▪ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი http://www.tafu.edu.ge/wm.php
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ▪ სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს გამოკითხვის შედეგების და რეკომენდაციების პერმანენტულად გაცნობა გამოკითხვაში მონაწილე ჯგუფებისათვის, რათა შემდგომში გაიზარდოს მათი ჩართულობა ხარისხის სამსახურის მიერ დაგეგმილ შეფასების მექანიზმებში;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: მენეჯმენტი (ხელოვნების)

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 30

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა			√	
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		√		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		√		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის</u>

ვასილ კიკუტაძე

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის</u>

ნინო ღაღანიძე

მერაბი ხოხობაია

დავით ცირამუა